

ტიპობრივი ტესტები

სტომატოლოგიის ფაკულტეტისთვის

პათოფიზიოლოგია 1

//// აღნიშნეთ მართებული დებულება:

/// დაავადებას ახასიათებს გარემოსთან გაწონასწორებული ურთიერთობა

/// დაავადების მიმდინარეობაში მხოლოდ პათოლოგიური პროცესებია გამონათული

/// ორგანიზმის საკომპენსაციო პროცესი მხოლოდ დაცვით ხასიათს ატარებს

// დაავადება წმინდა პათოლოგიური პროცესისა და საკომპენსაციო პროცესების ურთიერთკავშირია

//// პირის ღრუს დაცვის არასპეციფიკურ ფაქტორებს არ მიეკუთვნება

/// ლიზოციმი

/// ბეტა-ლიზინები

/// კომპლემენტის კომპონენტები

// იმუნოგლობულინები

//// უჯრედის დისტროფია ხასიათდება

// უჯრედში ნივთიერებათა ცვლის დარღვევით

/// უჯრედის სიცოცხლისუნარიანობის უეცარი შეწყვეტით

/// მკვდარი უჯრედისთვის დამახასიათებელი ცვლილებების სწრაფი განვითარებით

/// ქრომატინის კონდენსაციით

//// ზოგად ადაპტაციური სინდრომის განგაშის სტადიაში აღინიშნება

// ჰიპოფიზის მიერ ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის გამოყოფის სტიმულირება

/// ჰიპოგლიკემია

/// რენინ-ანგიოტენზინის სისტემის გააქტივება

/// პარასიმპათიკური სისტემის გააქტივება

//// ჰიპოვოლემიური შოკის დროს

// ძლიერდება ბარორეცეპტორებ აგზნებადობა

/// ქვეითდება რეფლექსი ქემორეცეპტორებიდან

/// მცირდება გულის შეკუმშვათა რიცხვი

/// ძლიერდება სიმპათიკურ-ადრენალური სისტემის გავლენა

//// ტვინის დაჟეჟილობის კლინიკური გამოვლინებები დაკავშირებულია

/// თვალის მამოძრავებელი ნერვის ცენტრების უშუალო დაზიანებასთან

// უშუალოდ ტვინის ქსოვილის დაზიანებასა და დაზიანების ლოკალიზაციასთან

/// ტვინის ქსოვილზე ჰემატომის ზეწოლასთან

/// სამწვერა ნერვის ცენტრის აგზნებასთან

//// ორგანიზმის მდგრადობა ელექტრო დენის მიმართ მატულობს

/// ლეიკოპენიის დროს

/// ოფლიანობისას დროს

/// კანის წინააღმდეგობის დაქვეითებისას

// ნარკოზის დროს

//// ჭეშმარიტი კაპილარული სტაზის პათოგენეზში მონაწილეობს:

/// ვენების ობსტრუქციის გამო კაპილარებში სისხლის მოძრაობის დაბრკოლება

/// მკვებავი არტერიის თრომბოზი

// კაპილარებში ერითროციტების აგრეგაცია და კონგლომერატების წარმოქმნა

/// კაპილარების კედლის გავლადობის გაძლიერების გამო სისხლის სიბლანტის შემცირება

//// კარის ვენის ემბოლიისას აღინიშნება

/// მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია
// ნაწლავების და ელენთის ჭარბი სისხლსავსეობა
/// ფილტვისმიერი გულის სინდრომი
/// გულის სისტოლური და წუთმოცულობის გაზრდა

//// ჩამოთვლილთაგან რომელი არაა ქსოვილის ან ორგანოს ატროფიის მიზეზი
/// ატროფია უმოქმედობის გამო
// ატროფია გაძლიერებული მუშაობის გამო
/// ატროფია დენერვაციის გამო
/// ატროფია ხანგრძლივი კომპრესიის გამო